თარიღი:30 დეკემბერი 2025 წელი

სს ჯორჯიან ქარდი

სს ჯორჯიან ქარდის, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული სისტემის ოპერატორის პასუხები CPSS-IOSCO საჯაროობის დებულების ფორმულარზე - შემდგომში **სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტი - სს ჯორჯიან ქარდი.**

სისტემის ოპერატორი:	სს ჯორჯიან ქარდი
სისტემის ოპერატორის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა:	საქართველოს კანონმდებლობა
სისტემის ოპერატორის საზედამხედველო ორგანო:	საქართველოს ეროვნული ბანკი, იურიდიული მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2. ვებ-გვერდის მისამართია: https://nbg.gov.ge
სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტის გამოქვეყნების თარიღი:	30 დეკემბერი 2025წ.
სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე:	www.gc.ge;
საკონტაქტო ინფორმაცია	(995 32) 231 70 40; info@gc.ge;

1. სისტემის მოკლე აღწერა და წინასიტყვაობა

2023 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N299/04 ბრძანებით მიღებულ იქნა საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი (შემდგომში - ***ოვერსაიტის წესი*)**, რომლის მიღების საფუძველია საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და 42-ე მუხლი. ***ოვერსაიტის წესის*** მოთხოვნები ვრცელდება ეროვნულ ბანკში რეგისტრირებულ საგადახდო სისტემის ოპერატორებსა და მათ სისტემებზე, აგრეთვე ლიცენზირებული კომერციული ბანკების ფულადი სახსრების საგადახდო სისტემებზე.

ოვერსაიტის წესით განსაზღვრული მოთხოვნები ეყრდნობა გადახდებისა და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა **(CPSS)** და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის **CPSS-IOSCO-ს** ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებს (PFMI) და ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ზედამხედველობის სტანდარტებს - შემდგომში. 2012 წლის დეკემბერში **CPSS-მ** და **IOSCO-მ** გამოაქვეყნეს „***Principles for financial market infrasturqtures: Disclosure framework and Assessment methodology" (შემდგომში - CPSS-IOSCO საჯაროობის დებულება)*** რომლითაც დადგინდა საჯაროობის დებულების ფორმულარი, მისი შევსების ინსტრუქცია და ფორმა (შემდგომში - **გამჟღავნების ტექსტი/დოკუმენტი** ან **სისტემის ოპერატორის გამჟღავნების დოკუმენტი**). **ოვერსაიტის წესით სისტემის ოპერატორი** ვალდებულია უზურნველყოს **სისტემის ოპერატორის გამჟღავნების დოკუმენტის** საჯაროდ ხელმისაწვდომობა და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მიწოდება.

სს ჯორჯიან ქარდი, წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო **სისტემის ოპერატორს**, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს **სისტემის ოპერატორის** საქმიანობა. სს ჯორჯიან ქარდი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

სს ჯორჯიან ქარდის, როგორც საგადახდო **სისტემის ოპერატორის** (გამორჩეულად მნიშვნელოვანი სისტემა) ძირითადი საქმიანობა მოიცავს:

სისტემის მონაწილეების საკუთარ საგადახდო სისტემაში ჩართვას და შემდგომი მომსახურეობების გაწევას:

- საბარათე ინსტრუმენტების ემიტირება
- საბარათე ოპერაციების დამუშავება
- ექვაირინგის მომსახურება
- სხვა დამატებითი მომსახურება, რაც გათვალისწინებულია სისტემის წესებით

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **სისტემის ოპერატორის სისტემის** ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ **სისტემის ოპერატორის გამჟღავნების დოკუმენტს.** იმის გათვალისწინებით, რომ:

- **CPSS-IOSCO საჯაროობის დებულება** ითვალისწინებს ზოგადად სისტემებთან, მათ შორის ფასიანი ქაღალდების სისტემებთან დაკავშირებულ ყველა პრინციპს, რომელიც არ ვრცელდება **სისტემის ოპერატორზე**,

  შესაბამისად წინამდებარე **სისტემის ოპერატორის გამჟღავნების დოკუმენტში** განხილული პრინციპები შეფასებულია **ოვერსაიტის წესის** იმ მუხლების ფარგლებში, რომლებიც ვრცელდება **სისტემის ოპერატორზე, როგორც გამორჩეულად მნიშვნელოვან სისტემის ოპერატორზე.**

CPSS-IOSCO საჯაროობის დებულების პრინციპები

პრინციპი	**1**	სამართლებრივი საფუძვლები	-	ვრცელდება
პრინციპი	**2**	მმართველობა	-	ვრცელდება
პრინციპი	**3**	რისკების მართვის ჩარჩო	-	ვრცელდება
პრინციპი	**4**	საკრედიტო რისკი	-	ვრცელდება
პრინციპი	**5**	გირავნობა	-	არ ვრცელდება
პრინციპი	**6**	ლიკვიდურობის რისკი	-	ვრცელდება
პრინციპი	**7**	საბოლოო ანგარიშსწორება	-	ვრცელდება
პრინციპი	**8**	ანგარიშსწორებისათვის გამოყენებული აქტივები	-	ვრცელდება
პრინციპი	**9**	გადახდა გადახდის სანაცვლოდ	-	ვრცელდება
პრინციპი	**10**	მონაწილის დეფოლტის წესები და პროცედურები	-	ვრცელდება
პრინციპი	**11**	ზოგადი ბიზნეს რისკი	-	ვრცელდება
პრინციპი	**12**	შენახვისა და ინვესტირების რისკი	-	არ ვრცელდება
პრინციპი	**13**	საოპერაციო რისკი	-	ვრცელდება

პრინციპი	**14**	წვდომისა და მონაწილეობის პირობები	-	ვრცელდება
პრინციპი	**15**	პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა	-	არ ვრცელდება
პრინციპი	**16**	ეფექტურობა და ეფექტიანობა	-	ვრცელდება
პრინციპი	**17**	საკომუნიკაციო სტანდარტები და პროცედურები	-	ვრცელდება
პრინციპი	**18**	საბაზრო მონაცემების, წესებისა და მნიშვნელოვანი პროცედურების გამოქვეყნება	-	ვრცელდება

2. სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტში განხორციელებული ძირითადი ცვლილებების ჩამონათვალი

ცვლილებები არ განხორციელებულა

3. ძირითადი ინფორმაცია სისტემის ოპერატორის შესახებ

3.1. სისტემის ოპერატორი და მომსახურება, რომელსაც აწვდის სისტემის ოპერატორი

სისტემის ოპერატორის საქმიანობის საგანია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში რეგისტრირებული: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკ(ებ)ის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ის, და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სუბიექტების საკუთარ სისტემაში ჩართვა, რომლის საშუალებით სისტემის მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ შემდეგი მომსახურეობები: საერთაშორისო საბარათე სქემის ფარგლებში ბარათების ემისიის მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე ფლობს შესაბამის საერთაშორისო საბარათე სქემის ლიცენზიას/ნებართვას ბარათების ემისიის შესახებ და აღნიშნული ბარათების საბარათე ოპერაციის (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ოპერაციები) დამუშავებას, საერთაშორისო საბარათე სქემის ფარგლებში ევქაირინგის მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე ფლობს შესაბამის საერთაშორისო საბარათე სქემის ლიცენზიას/ნებართვას ექავირიგის მომსახურებაზე. **სისტემის ოპერატორის** ლოკალური ბარათების ემისიას და ამ ბარათებით საბარათე ოპერაციის (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ოპერაციები) დამუშავება, ასევე დამატებითი მომსახურებები რომლებიც დაკავშირებულია ჩამოთვლილ მომსახურებებთან.

3.2. სისტემის ოპერატორის მმართველობითი სტრუქტურა

სს ჯორჯიან ქარდის/**სისტემის ოპერატორის** კორპორაციული მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

სს ჯორჯიან ქარდის კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია **სისტემის ოპერატორის** სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე კორპორაციული მართვის სტანდარტებისა და პრინციპების დამკვიდრებას.

სს ჯორჯიან ქარდის მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი. თითოეულს აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრება არის სს ჯორჯიან ქარდის უმაღლესი შიდა მმართველობითი ორგანო, რომელიც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სს ჯორჯიან ქარდის ზოგად კორპორაციულ მართვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც კომპანიის ზოგად კორპორაციულ მართვაზე, ისე ყოველდღიურ საქმიანობასა და საოპერაციო საკითხებზე. კომპანიას ჰყავს ერთი გენერალური დირექტორი, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია სს ჯორჯიან ქარდის წესდებით.

საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურეობის შესახებ და საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება (სებ-ის პრეზიდენტის 2023 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N299/04)), კომპანიის წესდებასთან ერთად წარმოადგენს სს ჯორჯიან ქარდის კორპორატიული მართვის ძირითად საკანონმდებლო ბაზას.

3.3. სისტემის ოპერატორის საქმინობის სამართლებრივი საფუძვლები

სს ჯორჯიან ქარდი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას - საგადახდო სისტემას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204396377, რეგისტრაციის თარიღი: 17/01/1997, ნომერი: 06/5-50), რომლის საზედამხედველო ორგანოსაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნულის ბანკის მიერ სს ჯორჯიან ქარდისთვის მინიჭებული ლიცენზიის ფარგლებში (საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: საგადახდო სისტემის ოპერატორი), სს ჯორჯიან ქარდი წარმოადგენს საგადახდო სისტემის ოპერატორს,

სს ჯორჯიან ქარდის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს) და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. ამასთან, სს ჯორჯიან ქარდი, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი მოქმედებს აღნიშნული რეგულაციების ფარგლებში და მომსახურებას გასწევს საქართველოს ტერიტორიაზე.

სს ჯორჯიან ქარდის მფლობელობითი სტრუქტურა:

3.4. სისტემის დიზაინი და ოპერაციები

საბარათე სისტემა წარმოადგენს **სისტემის ოპერატორის** მიერ შექმნილ საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ბარათების ემისიას და საბარათე ოპერაციების დამუშავებას, როგორც საერთაშორისო საბარათე სქემის ფარგლებში ემიტირებულ ბარათებზე, ასევე ლოკალურ ბარათებზე, ამასთან საერთაშორისო საბარათე სქემის ფარგლებში ბარათების ემისია და საბარათე ოპერაციის დამუშავება შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილეს აქვს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვები.

სისტემის ოპერატორი არის გამორჩეულად მნიშვნელოვანი სისტემა, რომელიც საკუთარ სისტემაში რთავს სისტემის მონაწილეებს ბარათების ემისიისა და საბარათე ოპერაციების მხარდაჭერის მიზნით.

სისტემის მონაწილეებს წარმოადგენენ: საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები.

სისტემის ოპერატორის სერვისები მოიცავს გადახდის ოპერაციების პროცესინგს, მათ შორის ბარათების პერსონალიზაციას, საბარათე ოპერაციების დამუშავებას, მათ შორის საგადახდო აპლიკაციაში (ე.წ. wallet) დამატებული ბარათით. აღნიშნული უზრუნველყოფილია (PCI DSS) საერთაშორისო სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს საბარათე ოპერაციების სწრაფი და უსაფრთხო დამუშავებას.

4. სისტემის ოპერატორის საქმიანობის პრინციპები

პრინციპი 1	სისტემის ოპერატორის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეაფასოს, ყველა შესაბამის იურისდიქციაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა უზრუნველყოფს თუ არა მისი სისტემის საქმიანობის ყველა არსებით ნაწილში მაღალი ხარისხის საიმედოობას და განჭვრეტადობას.

მოკლე აღწერა - სისტემის ოპერატორის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები უზრუნველყოფენ სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების განჭვრეტადობასა და ხელმისაწვდომობას.

სს ჯორჯიან ქარდი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო სისტემის ოპერატორი, რომელიც საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე ახორციელებს საგადახდო სისტემის ოპერატორის ფუნქციებს.

სისტემის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე და მისი საქმიანობა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს) და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. სისტემის ოპერატორზე ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის N299/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხეველობის წესი“.

სისტემის ოპერატორი არის გამორჩეულად მნიშვნელოვანი სისტემა, რომელიც საკუთარ სისტემაში რთავს სისტემის მონაწილეებს ბარათების ემისიისა და საბარათე ოპერაციების მხარდაჭერის მიზნით. სისტემის მონაწილეებს წარმოადგენენ: საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები.

სისტემის ოპერატორის საქმიანობა რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- სისტემაზე წვდომის წესები
- სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სისტემაში მონაწილეობის შესახებ
- სისტემის ოპერატორს და ანგარიშსწორების აგენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ანგარიშსწორების შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის:
    - საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი
    - 2023 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 13 N298/04 ბრძანებ მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ
    - 2023 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N299/04 ბრძანებით მიღებულ იქნა საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი

ძირითადი მოსაზრება N2 - **სისტემის ოპერატორი** ვალდებულია ჰქონდეს სისტემის წესები და პროცედურები, გააფორმოს ხელშეკრულებები, რომლებიც ნათლად და არაორაზროვნად არის ფორმულირებული და შეესაბამება ყველა შესაბამის იურისდიქციაში მოქმედ შესაბამის კანონმდებლობას.

მოკლე აღწერა - სისტემის ოპერატორს გააჩნია სისტემის წესები და პროცედურები, აგრეთვე სისტემის მონაწილეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ნათლად და არაორაზროვნად არის ფორმულირებული და სრულად შეესაბამება საქართველოს იურისდიქციაში მოქმედ კანონმდებლობას.

სისტემის წესები და პირობები განსაზღვრავს:

- სისტემის მონაწილეობის წინაპირობებს

- სისტემაში მონაწილეობის წესებს
- სისტემის მუშაობის წესებს და პირობებს
- სისტემით სარგებლობის საფასურს და გადახდის პირობებს
- დეფოლტის პირობებს და პროცედურებს
- სისტემის ოპერატორის, ანგარიშსწორების აგენტისა და სისტემის მონაწილის უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას
- სისტემის წესების ცვლილებების განხორციელების წესს

სისტემის წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის ვებ-გვერდზე www.gc.ge .

ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა უნდა მიაწოდოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნათლად და გასაგებად ფორმულირებული ინფორმაცია მისი სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, წესების, პროცედურებისა და ხელშეკრულებების თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს, თავისი სისტემის მონაწილეებს, ასევე, მონაწილეთა და/ან თავის კლიენტებს (თუ ის უშუალოდ ემსახურება კლიენტებს) თუ ეს ინფორმაცია უშუალოდ ეხებათ მათ.

მოკლე აღწერა - სისტემის წესები და პირობები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის **სისტემის ოპერატორის** ვებ-გვერდზე, შესაბამისად სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს და ხელმისაწვდომს ხდის ნათლად და გასაგებად ფორმულირებულ ინფორმაციას მისი სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, სისტემაზე წვდომის წესების, პროცედურებისა და ხელშეკრულებების შესახებ..

ძირითადი მოსაზრება N4 - სისტემის ოპერატორი იღებს ზომებს, რათა შეძლებისდაგვარად მაღალი საიმედოობით უზრუნველყოფილი იქნეს სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესების, პროცედურებისა და ხელშეკრულებების აღსრულება ყველა შესაბამის იურისდიქციაში და ამ წესებით, პროცედურებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზომები არ გამოცხადდეს ბათილად, არ გაუქმდეს ან არ შეჩერდეს.

მოკლე აღწერა - სისტემის წესები და ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, შესაბამისად სრულად აღსრულებადია ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

ძირითადი მოსაზრება N5 - სისტემის ოპერატორმა უნდა მოახდინოს იმ რისკების იდენტიფიკაცია და შემცირება, რომლებიც წარმოიშობა სისტემის სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ფუნქციონირებიდან გამომდინარე, შესაბამის იურისდიქციებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობის გამო.

მოკლე აღწერა - **სისტემის ოპერატორი** ფუნქციონირებს მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში და საკუთარ სისტემაში ჩართული ჰყავს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული სისტემის მონაწილეები (იურიდიული პირები), შესაბამისად **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს შესაბამისი რისკების იდენტიფიკაციასა და შემუშავებული აქვს მათი პრევენციის მექანიზმები. შესაბამისად, დღეს უცხო ქვეყნის იურისდიქციებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებული წინააღმდეგობები არ წარმოიშობა.

სისტემის ოპერატორი, ახალ იურისდიქციაში სისტემის საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივი გარემოს შესწავლას, ანალიზსა და ადგილობრივი რელევანტური ორგანოების/პირების სამართლებრივი დასკვნის მომზადებას სისტემის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პრინციპი 2	მმართველობა

ძირითადი მოსაზრება N1 - **სისტემის ოპერატორს** უნდა გააჩნდეს დოკუმენტირებული მიზნები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სისტემის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების საკითხებს. გამორჩეულად მნიშვნელოვანი **სისტემის ოპერატორის** მიზნები მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორის მიზანია უზრუნველყოს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოება და ეფექტურობა ბაზარზე, რომელიც უზრუნველყოფს რომ მომსახურება იქნება მაღალეფექტური და დაბალი რისკის შემცველი. ამ მიზნით, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს რომ სრულად შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იყოს სისტემის ეფექტურობა, სისტემის ოპერატორის მიზანია უზრუნველყოს პროცესების ავტომატიზაცია და ავომატიზირებული პროცესების მაღალი ეფექტურობა, როგორც დროის, ასევე ხარისხის თვალსაზრისით.სისტემის ოპერატორის მიზნები განსაზღვრულია შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურით, ამასთან სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული და გათვალისწინებულია სისტემის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების საკითხები.

ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორს უნდა გააჩნდეს დოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. დოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, სისტემის მფლობელებისა და მონაწილეებისათვის. სისტემის ოპერატორი ვალდებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს მართველობითი სტრუქტურის შემოკლებული ვერსია.

მოკლე აღწერა: ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სს ჯორჯიან ქარდის მმართველობითი სტრუქტურა განისაზღვრება ქვემოთ მოცემული სტრუქტურით.

სს ჯორჯიან ქარდს, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებულ სისტემის ოპერატორს აქვს მკაფიო მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერთა კრების და გენერალური დირექტორისგან.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან, რომელთაგან 1 არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

სისტემის ოპერატორს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და გენერალური დირექტორის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სს ჯორჯიან ქარდის ამონაწერის მოძიების გზით შემდეგ ვებ-გვერდზე - https://www.my.gov.ge/ .

სისტემის ოპერატორს გააჩნია დოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა, კერძოდ, პასუხისმგებლობის დელეგირების პოლიტიკა და ასევე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სადაც დეტალურად არის გაწერილი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. სისტემის ოპერატორს ასევე გააჩნია მმართველობითი სტრუქტურის შემოკლებული ვერსია, რომელიც განთავსებულია სისტემის ოპერატორის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gc.ge;

ძირითადი მოსაზრება N3 - საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობა მკაფიოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგს: ა) სისტემისათვის მკაფიო სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა; ბ) სისტემის ფუნქციონირების დოკუმენტირებული პროცედურების შექმნა/დანერგვა, მათ შორის, საბჭოს წევრების ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების პროცედურები; გ) აღმასრულებელი დირექტორების ეფექტური შერჩევის, საქმიანობის მონიტორინგის და საჭიროების შემთხვევაში, თანამდებობიდან განთავისუფლების უზრუნველყოფა; დ) შრომის ანაზღაურების

სათანადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას და ფოკუსირებულია გრძელვადიან მიღწევებზე.
მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორის სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები განსაზღვრულია და აღწერილია სისტემის ოპერატორის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და წესდებაში. სადამფუძნებლო დოკუმენტები და წესდება სრულად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სისტემის ოპერატორს გააჩნია წესდება, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობის ფარგლები, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება: ა) სისტემისათვის მკაფიო სტრატეგიული მიზნებს; ბ) სისტემის ფუნქციონირების დოკუმენტირებული პროცედურების შექმნა/დანერგვას, მათ შორის, საბჭოს წევრების ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების პროცედურებს; გ) აღმასრულებელი დირექტორების ეფექტური შერჩევის, საქმიანობის მონიტორინგის და საჭიროების შემთხვევაში, თანამდებობიდან განთავისუფლების უზრუნველყოფას; დ) შრომის ანაზღაურების სათანადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას და ფოკუსირებულია გრძელვადიან მიღწევებზე.
ძირითადი მოსაზრება N4 - საბჭომ სულ მცირე წელიწადში ერთხელ უნდა განიხილოს მთლიანად საბჭოს, ასევე მისი ცალკეული წევრის საქმიანობის შედეგები ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.
მოკლე აღწერა: სისტემი ოპერატორის წესდებაში განსაზღვრულია საბჭოს მიერ საბჭოსა და მისი ცალკეული წევრის საქმიანობის შედეგების განხილვის პერიოდულობა, რომელიც განისაზღვრება სულ მცირე წელიწადში ერთხელ პერიოდულობით;
ძირითადი მოსაზრება N5 - საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური უნარები, სისტემასა და ზოგადად ფინანსურ ბაზართან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, რაც საბჭოს საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი ფუნქციები და ვალდებულებები. სასურველია საბჭოს შემადგენლობაში იყოს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი წევრი.
მოკლე აღწერა: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ფლობენ სისტემის მიმართ ტექნიკურ უნარებს, აქვთ ცოდნა და გამოცდილება ზოგად ფინანსურ ბაზართან, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციურ მდგრადობას, ვალდებულების შესრულების მიმართ.
ძირითადი მოსაზრება N6 - აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციები, ვალდებულებები და ანგარიშვალდებულების საკითხი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და დოკუმენტირებული. აღმასრულებელ დირექტორებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ტექნიკური უნარები, სისტემისა და ზოგადად ფინანსურ ბაზართან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს აღმასრულებელი დირექტორების მიერ სისტემის ოპერირებასთან და შესაბამისი რისკების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. აღმასრულებელი დირექტორების პასუხისმგებლობები უნდა შეთანხმდეს საბჭოსთან და მოიცავდეს შემდეგს: ა) სისტემის ოპერატორის საქმიანობის მიზნებთან, სტრატეგიასთან და რისკების აპეტიტთან შესაბამისობის უზრუნველყოფას; ბ) შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შექმნას, სათანადო იმპლემენტაციას და კონტროლს, რათა ხელი შეეწყოს სისტემის ოპერატორის მიზნების მიღწევას; გ) რისკის მართვისა და შიდა აუდიტის მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების რეგულარულ შემოწმებასა და ტესტირებას; დ) რისკების კონტროლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას; ე) სისტემის რისკების მართვისათვის საკმარისი რესურსებით მობილიზებას.
მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორს ყავს ერთი გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციები, ვალდებულებები და ანგარიშვალდებულების საკითხები განსაზღვრული და დოკუმენტირებულია სისტემის ოპერატორის „პასუხისმგებლობის დელეგირების პოლიტიკასა და ასევე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში“ და სისტემის ოპერატორის წესდებაში.

სისტემის ოპერატორის გენერალურ დირექტორს აქვს შესაბამისი ტექნიკური უნარები, სისტემისა და ზოგადად ფინანსურ ბაზართან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ სისტემის ოპერირებასთან და შესაბამისი რისკების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას; გენერალური დირექტორების პასუხისმგებლობები თანხმდება საბჭოსთან, რომელიც მოიცავს: ა) სისტემის ოპერატორის საქმიანობის მიზნებთან, სტრატეგიასთან და რისკების აპეტიტთან შესაბამისობის უზრუნველყოფას; ბ) შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შექმნას, სათანადო იმპლემენტაციას და კონტროლს, რათა ხელი შეეწყოს სისტემის ოპერატორის მიზნების მიღწევას; გ) რისკის მართვისა და შიდა აუდიტის მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების რეგულარულ შემოწმებასა და ტესტირებას; დ) რისკების კონტროლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას; ე) სისტემის რისკების მართვისათვის საკმარისი რესურსებით მობილიზებას.
ძირითადი მოსაზრება N8 - საბჭომ უნდა უზრუნველყოს დაცვის სამი მკაფიო და ეფექტური ხაზის არსებობა (ოპერაციები, რისკების მართვა და შიდა აუდიტი), რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია და გააჩნია სათანადო უფლებამოსილება, დამოუკიდებლობა, რესურსები და საბჭოსათვის პირდაპირი მიმართვის შესაძლებლობა.
მოკლე აღწერა: საბჭოს უზრუნველყოფს სისტემის ოპერაციების, რისკებისა და აუდიტის მართვას, რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება, დამოუკიდებლობა , რესურსები და საბჭოსთვის პირდაპირი მიმართვის შესაძლებლობა;
ძირითადი მოსაზრება N10 - საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის ტექნიკურ და ფუნქციურ მოწყობაზე, წესებსა და საერთო სტრატეგიაზე (განსაკუთრებით კლირინგისა და ანგარიშსწორების მოდელებზე, მართვის სტრუქტურაზე, სისტემის პროდუქტებზე) და ასევე, გამოყენებული ტექნოლოგია და პროცედურები, სათანადოდ ასახავდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ლეგიტიმურ ინტერესებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარ უნდა გაიმართოს კონსულტაციები, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია, საჯარო კონსულტაციები.
მოკლე აღწერა: ---სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს მისი მომსახურების იმგვარ განვითარებას, რომ სისტემით სარგებლობა სისტემის მონაწილეებისთვის იყოს უსაფრთხო. აღნიშნულის მიღწევის საშუალებაა სისტემის მონაწილეების ინტერესებისა და საჭიროების კვლევა და რეაგირება. სისტემის ოპერატორის საქმიანობა, მათ შორის მოიცავს ბაზრის მუდმივ კვლევას. სისტემის განახლებისა და სისტემაში არსებული ბრუნვების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის ვებ-გვერდზე www.gc.ge, შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნება სისტემის მონაწილეებისა და მომხმარებლების ინფორმირებულობა.

პრინციპი 3	**რისკების მართვის ჩარჩო**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს რისკების მართვის ჩარჩო, რათა განახორციელოს იმ რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, კონტროლი და მართვა, რომლებიც წარმოიშობა სისტემაში ან მოქმედებს მასზე. რისკების მართვის ჩარჩო პერიოდულად უნდა გადაიხედოს.	
მოკლე აღწერა: სს ჯორჯიან ქარდში შემუშავებულია რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც სრულყოფილად აღწერს ორგანიზაციაში რისკების მართვის პრინციპებს. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად აღწერილია რისკების შეფასების სრული პროცესი. პროცესების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება ხორციელდება წელიწადში ერთხელ და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად.	

ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს კრიტიკული პროცესები და მომსახურება. სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს გარკვეული სცენარები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სისტემის კრიტიკული პროცესებისა და მომსახურების განხორციელებას და უნდა შეაფასოს სისტემის აღდგენის ან/და სისტემის საქმიანობის (გარდა ისეთი სისტემებისა, რომლებიც მხოლოდ სისტემის ოპერატორის კლიენტებისთვის გამოიყენება) მოწესრიგებული შეწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტის ეფექტურობა. სისტემის ოპერატორმა კრიტიკულ პროცესებსა და მომსახურებას უნდა გადახედოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ და ჰქონდეს მის საფუძველზე შემუშავებული გეგმა სისტემის აღდგენისათვის ან/და საჭიროების შემთხვევაში, სისტემის საქმიანობის მოწესრიგებული შეწყვეტის თაობაზე. საქმიანობის აღდგენის ან საქმიანობის შეწყვეტის გეგმები უნდა მოიცავდეს კრიტიკული პროცესებისა და მომსახურების ჩამონათვალის განახლებას და საქმიანობის აღდგენისათვის ან/და მოწესრიგებული შეწყვეტისათვის საჭირო ღონისძიებებს. სისტემის ოპერატორი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს იმ ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც საჭიროა საქმიანობის შეწყვეტის გეგმის განხორციელებისათვის. საქმიანობის აღდგენის და საქმიანობის შეწყვეტის გეგმების გადახედვა უნდა განხორციელდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ.
მოკლე აღწერა: 1. სს ჯორჯიან ქარდში დანერგილია ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის (BIA) პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია კრიტიკული პროცესების, მომსახურებისა და სისტემების იდენტიფიცირებასა და მათი კრიტიკულობის შეფასებას ახორციელებს. ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი წარმოებს წელიწადში ერთხელ ან მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად. 2. სს ჯორჯიან ქარდში დანერგილია ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც წარმოებს ბიზნესის უწყეტობის სცენარებისა და მათი რეალიზების შემთხვევაში განსახორციელებელი სამოქმედო გეგმების (BCP) შემუშავება. აღნიშნული გეგმების ტესტირება წარმოებს წელიწადში ერთხელ . ბიზნეს უწყვეტობის გეგმების დოკუმენტის განახლება წარმოებს წელიწადში ერთხელ ან მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად.

პრინციპი 4	**საკრედიტო რისკი**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს იმ საკრედიტო რისკების გაზომვის, კონტროლისა და მართვის ძლიერი ჩარჩო, რომლებიც წარმოიშობა მონაწილეების მიმართ ან მონაწილეებს შორის სისტემაში გადარიცხვის, კლირინგისა და ანგარიშსწორების პროცესებიდან გამომდინარე.	
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში დამუშავებულ საბარათე ოპერაციებიდან გამომდინარე ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშსწორების აგენტის მიერ, სისტემის ანგარიშსწორების აგენტი, ამავდროულად არის სისტემის ძირითადი (ყველაზე მსხვილი) მონაწილე, სისტემის მონაწილე თავად უზრუნველყოფს სისტემის ფარგლებში განხორციელებულ ტრანზაქციებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებას, რაც განაპირობებს სისტემის მონაწილეს ვალდებულებას განახორციელოს ანგარიშსწორებიდან გამომდინარე საკრედიტო რისკების კონტროლი, სხვა სისტემის მონაწილეებთან მიმართებაში, სისტემის მონაწილე ანგარიშსწორების აგენტთან იქონიოს შესაბამისი ნაშთი მუდმივად ოპერაციების შესასრულებად, შესაბამისად სისტემაში არ	

წარმოიშობა საკრედიტო რისკები. სისტემა მონაწილეთა მიმართ და/ან მონაწილეთა შორის გადარიცხვებს არ ახორციელებს, აღნიშნული დარეგულირებული და განსაზღვრულია სისტემასა და ანგარიშსწორების აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორმა უნდა დაადგინოს საკრედიტო რისკის ყველა შესაძლო გამომწვევი მიზეზი. საკრედიტო რისკის (ზემოქმედების) გაზომვა და მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მუდმივად დროული ინფორმაციისა და რისკის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში დამუშავებულ საბარათე ოპერაციებიდან გამომდინარე ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშსწორების აგენტის მიერ, სისტემის ანგარიშსწორების აგენტი, ამავდროულად არის სისტემის ძირითადი (ყველაზე მსხვილი) მონაწილე, სისტემის მონაწილე თავად უზრუნველყოფს სისტემის ფარგლებში განხორციელბულ ტრანზაქციებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებას, რაც განაპირობებს სისტემის მონაწილეს ვალდებულებას განახორციელოს ანგარიშსწორებიდან გამომდინარე საკრედიტო რისკების კონტროლი, სხვა სისტემის მონაწილეებთან მიმართებაში, სისტემის მონაწილე ანგარიშსწორების აგენტთან იქონიოს შესაბამისი ნაშთი მუდმივად ოპერაციების შესასრულებად, შესაბამისად სისტემაში არ წარმოიშობა საკრედიტო რისკები.
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა (მათ შორის, კლირინგის სისტემის ოპერატორმა) ანგარიშსწორების გარანტიით, უნდა დაფაროს თითოეული მონაწილის მიმართ საკრედიტო რისკი გირავნობის საგნით, საგარანტიო ფონდებით, საკუთარი კაპიტალით (ზოგადი ბიზნესრისკის დასაფარავად საჭირო თანხის გამოკლების შემდეგ) ან სხვა შესაბამისი ფინანსური საშუალებებით. სისტემის ოპერატორმა (მათ შორის, კლირინგის სისტემის ოპერატორმა), რომელსაც არ აქვს ანგარიშსწორების გარანტია, უნდა შეიმუშავოს პროცედურები და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები მონაწილეებთან, რომელთა მიმართ გადახდის, კლირინგისა და ანგარიშსწორების პროცესების დროს შესაძლოა წარმოიშვას საკრედიტო რისკის პოზიციები. ეს პროცედურები და სახელშეკრულებო ურთიერთობები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მონაწილეები ფლობდნენ ამ მუხლის საკმარის ფინანსურ რესურსებს იმ ორი მონაწილის საკრედიტო რისკის პოზიციის დასაფარად, რომლებიც მათთან დაკავშირებულ პირებთან ერთად უდიდეს საკრედიტო რისკის პოზიციას ქმნიან.
მოკლე აღწერა იმის გათვალისიწინებით, რომ სისტემაში არ წარმოიშოვა საკრედიტო რისკები, ხოლო სისტემის წესები ითვალისწინებსლოკალური ბარათების შემთხვევაში ვალდებულებას, სისტემის მოანწილის მხრიდან ოპერაციები შესრულდეს/დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებობს შესაბამისი ნაშთი, დამატებითი უზრუნველყოფის ვალდბეულება არ წარმოიშობა.

პრინციპი 6	**ლიკვიდურობის რისკი**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს იმ ლიკვიდურობის რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც გამოწვეულია სისტემის მონაწილეების, ანგარიშსწორების აგენტების, ნოსტრო აგენტების, კასტოდიანი ბანკების, ლიკვიდური რესურსების მიმწოდებლებისა და სხვა შესაბამის სუბიექტების მიერ.	
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში სისტემას ჰყავს მხოლოდ ანგარიშსწორების აგენტი, რომელიც ამავდროულად არის სისტემის მონაწილე, (ძირითადი), შესაბამისად სისტემის მონაწილე ვალდებულია, თავად აკონტროლოს მისი ლიკვიდურობა სისტემის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.	
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორი უნდა ფლობდეს ან უზრუნველყოს, რომ მონაწილეები ფლობდნენ საკმარის ლიკვიდურ რესურსებს მის მიმართ მოთხოვნის დაფარვის ვალდებულების წარმოშობის	

მომენტიდან, ყველა იმ ვალუტაში, რომელშიც ის ოპერირებს, რათა განახორციელონ იმავე დღეს ანგარიშსწორება გადახდების ვალდებულებების შესაბამისად პოტენციური ფართო სპექტრის სტრესული სცენარების დროსაც. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც დღის განმავლობაში ანგარიშსწორებას (intraday settlement), ასევე მომდევნო დღეებში ანგარიშსწორებას (multiday settlement).
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში სისტემას ჰყავს მხოლოდ ანგარიშსწორების აგენტი, რომელიც ამავდროულად არის სისტემის მონაწილე, (ძირითადი), შესაბამისად: ა. სისტემის მონაწილე ვალდებულია, თავად აკონტროლოს მისი ლიკვიდურობა სისტემის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ბ. სისტემა თავად არ ახორციელებს ანგარიშსწორებას, აღნიშნული გარემოება დარეგულირებულია სისტემასა და ანგარიშსწორების აგენტთან, რომელიც ამავდროულად არის სისტემის მონაწილე გაფორმებული ხელშეკრულებით, საიდან გამომდინარეც, აგენტი (სს საქართველოს ბანკი) იღებს ვალდებულებას ფლობდეს და/ან უზრუნველყოს (აფილიატსა და ანგარიშსწორების აგენტს (სს საქართველოს ბანკი) შორის არსებული ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სისტემის პირობების შესაბამისად), რომ ფლობდეს თავად საკმარის ლიკვიდურ რესურსებს სისტემის მიმართ.
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორი, რომელიც ახორციელებს ცალმხრივ გადახდებს, ვალდებულია თვითონ გააჩნდეს ან უზრუნველყოს, რომ სისტემის მონაწილეებს გააჩნდეთ დამატებითი ლიკვიდური რესურსები, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე ან კომერციულ ბანკში, ან მიკრობანკში ერთი ან რამდენიმე შემდეგი ინსტრუმენტით: ა) დამტკიცებული საკრედიტო ხაზები; ბ) დამტკიცებული სავალუტო სვოპები; გ) დამტკიცებული რეპო-ხელშეკრულებები; დ) ფულადი საშუალებები, რომლებიც კასტოდიანთან ინახება; ე) მოკლევადიანად ხელმისაწვდომი ინვესტიციები.
მოკლე აღწერა სისტემაში არ არსებობს ცალმხრივი გადახდები.

პრინციპი 7	**ანგარიშსწორების საბოლოობა**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორის წესები და პირობები ნათლად უნდა განმარტავდეს როდის არის გადახდა საბოლოო.	
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში საბარათე ოპერაციის შესრულების დადასტურებას ახორციელებს სისტემის მონაწილე, შესაბამისად ავტორიზაციას ახორციელებს სისტემის მონაწილე, რის შემდეგაც გადახდის ოპერაციაა საბოლოდ ითვლება.	
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს წესები და პროცედურები, რომელებიც უზრუნველყოფს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებას არაუგვიანეს დაგეგმილი ანგარიშსწორების დღის დასასრულისა, სასურველია იმავე დღეს ან ონლაინ რეჟიმში.	
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორი თავად არ ახორციელებს ანგარიშსწორებას. ანგარიშსწორება ხორციელდება სისტემასა და ანგარიშსწორების აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითსისტემა ავალდებულებს ანგარიშსწორების აგენტს მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს დაგეგმილი ანგარიშსწორების დღის დასასრულისა და/ან ონლაინ რეჟიმში;	

პრინციპი 8	**ანგარიშსწორებისათვის გამოყენებული აქტივები**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა, რომელიც ახორციელებს ცალმხრივ გადახდებს ლარით, უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომ საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს ცენტრალური ბანკის ფულით. ასევე, სისტემის ოპერატორმა, რომელიც ახორციელებს ანგარიშსწორებას სხვა სისტემებისთვის, ყველა ზომა უნდა გამოიყენოს, რომ განახორციელოს სხვა სისტემებისთვის ანგარიშსწორება საგანგებო ვითარებაშიც.	

მოკლე აღწერა - სისტემაში არ არსებობს ცალმხრივი გადახდები.
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორი, რომელიც ახორციელებს ორმხრივ გადახდებს ან ცალმხრივ გადახდებს უცხოური ვალუტით, უნდა უზრუნველყოს, რომ საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს ცენტრალური ბანკის ფულით, თუ ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია.
მოკლე აღწერა - სისტემა არ იყენებს ცენტრალური ბანკის ფულს. ანგარიშსწორებას არ ახორციელებს.
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს იმ ანგარიშსწორების აქტივით, რომელსაც მცირე ან ნულოვანი საკრედიტო და ლიკვიდობის რისკი აქვს.
მოკლე აღწერა სისტემის საშუალებით ანგარიშსწორება ხორციელდება სისტემის მონაწილის მიერ წინასწარ განთავსებული სახსრების საფუძველზე (საერთაშორისო საგადახდო სქემაში ჩართული ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ანგარიშსწორება ხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სქემის ფარგლებში სისტემის მონაწილის მიერ, საგადახდო სქემის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე წინასწარ განთავსებული დეპოზიტის საფუძველზე. ლოკალური ბარათების შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშსწორების აგენტთან გახსნილ ანგარიშზე წინასწარ განთავსებული დეპოზიტის საფუძველზე. სისტემის საშუალებით საბარათე ოპერაცია ლოკალურ ბარათებთან მიმართებაში არ სრულდება თუ ანგარიშსწორების ანგარიშზე არ არის განთავსებული ოპერაციის განხორციელებისთვის საკმარისი თანხა, ხოლო საერთაშორისო სქემასთან მიმართებაში ანგარიშსწორების აგენტი უზრუნველყოფს დეპოზიტის დაუყოვნებლივ შევსებას), შესაბამისად სისტემაში არ არსებობს საკრედიტო/ლიკვიდურობის რისკი.
ძირითადი მოსაზრება N4 - კომერციული ბანკის ფულით საბოლოო ანგარიშსწორების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორმა უნდა აკონტროლოს, მართოს და შეამციროს ის საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები, რომლებიც ანგარიშსწორების აგენტი – კომერციული ბანკიდან ან მიკრობანკიდან წარმოიშობა. სისტემის ოპერატორმა უნდა დაადგინოს ანგარიშსწორების აგენტების მკაცრი კრიტერიუმები და გააკონტროლოს ანგარიშსწორების აგენტების მიერ ამ კრიტერიუმების დაცვა, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს მათი რეგულირებისა და ზედამხედველობის ასპექტებს, კრედიტუნარიანობას, კაპიტალიზაციას, ლიკვიდურ სახსრებზე ხელმისაწვდომობას და ოპერაციულ საიმედოობას. სისტემის ოპერატორი აკონტროლებს და მართავს საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების/ზეგავლენის კონცენტრაციას იმ კომერციული ბანკების და/ან მიკრობანკების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.
მოკლე აღწერა სისტემის საშუალებით არ ხორციელდება ანგარიშსწორება კომერციული ბანკის ფულით, ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვის სისტემის მონაწილის მიერ განთავსებული სახსრებით.
ძირითადი მოსაზრება N5 - თუ სისტემის ოპერატორი საბოლოო ანგარიშსწორებას ახორციელებს მასთან არსებულ ანგარიშებზე (თავის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში), ის ვალდებულია მინიმუმამდე შეამციროს და მკაცრად აკონტროლოს საკუთარი საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.
მოკლე აღწერა არ ხორციელდება ასეთი ანგარიშსწორება.
ძირითადი მოსაზრება N6 - თუ საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება კომერციული ბანკის ფულით, მაშინ სისტემის ოპერატორსა და ანგარიშსწორების აგენტ კომერციულ ბანკს ან მიკრობანკს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სავალდებულოა განისაზღვროს შემდეგი: ა) ანგარიშსწორების აგენტი კომერციული ბანკების და/ან მიკრობანკების ძირითად სისტემაში შესაბამისი გატარებების/ტრანსფერების განხორციელების დრო; ბ) შესაბამისი გატარებების/ტრანსფერების განხორციელების შემდეგ ეს ტრანზაქციები არის საბოლოო; გ) გატარებების/ტრანსფერების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს დღის დასასრულისა, არის ხელმისაწვდომი.

მოკლე აღწერა სისტემის საშუალებით არ ხორციელდება ანგარიშსწორება კომერციული ბანკის ფულით, ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვის სისტემის მონაწილის მიერ განთავსებული სახსრებით.

პრინციპი 9	**გადახდა გადახდის სანაცვლოდ**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორი, რომელიც იყენებს გადახდა გადახდის სანაცვლოდ მექანიზმს, ვალდებულია აღმოფხვრას შესრულების რისკი. ამ მიზნით, მან უნდა უზრუნველყოს ვალდებულების საბოლოო ანგარიშსწორება მხოლოდ მას შემდეგ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდება შესაბამისი დაკავშირებული ვალდებულების საბოლოო ანგარიშსწორება. ეს წესი დაცული უნდა იყოს იმისდა მიუხედავად, საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება თუ არა ნეტინგის პრინციპით და როდის დგება ანგარიშსწორების საბოლოობა.	
მოკლე აღწერა სისტემის ფარგლებში არ არსებობს გადახდა გადახდის სანაცვლოდ.	

პრინციპი 10	**სისტემის მონაწილის დეფოლტის წესი და პროცედურები**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა სისტემის წესებით უნდა განსაზღვროს მონაწილის დეფოლტის განმარტება, რომლის მიხედვითაც დეფოლტად ითვლება, როდესაც მონაწილეს არ შეუძლია თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულება, რომელიც მათ შორის გამოწვეულია ერთ-ერთი შემდეგი გარემოებით: ა) საოპერაციო მიზეზებით; ბ) ხელშეკრულების დარღვევით; გ) მონაწილის მიმართ გადახდისუუნარობის და/ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყებით.	
მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორს სისტემაზე წვდომის წესებით გათვალისწინებული აქვს მონაწილის დეფოლტის განმარტება, შესაბამისი საფუძვლები და პირობები, დეფოლტის შემთხვევები, მათ შორის როდესაც მონაწილეს არ შეუძლია თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულება, რომელიც გამოწვეულია ერთ-ერთი შემდეგი გარემოებით: ა) საოპერაციო მიზეზებით; ბ) ხელშეკრულების დარღვევით; გ) მონაწილის მიმართ გადახდისუუნარობის და/ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყებით. სისტემაზე წვდომის წესები ხელმისაწვდომია სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gc.ge;	
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორმა სისტემის წესებში უნდა გაითვალისწინოს განსხვავება ავტომატურ დეფოლტსა და დეფოლტს შორის, რომელიც განისაზღვრება სისტემის ოპერატორის გადაწყვეტილებით. უკანასკნელ შემთხვევაში სისტემის ოპერატორმა თავის სტრუქტურაში უნდა განსაზღვროს ის პირები, რომლებიც ისარგებლებენ ამ უფლებამოსილებით. სისტემის ოპერატორი ვალდებულია გადახედოს დეფოლტის განსაზღვრებებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ.	
მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორს სისტემაზე წვდომის დოკუმენტში ჩამოყალიბებული აქვს დეფოლტის საფუძვლები, რომელიც განისაზღვრება სისტემის ოპერატორის გადაწყვეტილებით. "სისტემის მონაწილის სისტემასთან შესაბამისობის მონიტიორინგის" პროცედურით განსაზღვრული არიან პირი(ები), რომლებიც უფლებამოსილნი არიან დეფოლტის პროცესის განხორციელებაზე; სისტემის ოპერატორის მიერ წელიწადში ერთხელ ხორციელდება დეფოლტის წესებისა და პროცედურის გადახედვა.	
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორს უნდა ჰქონდეს შემუშავებული მონაწილის დეფოლტის წესები და პროცედურები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას მონაწილის დეფოლტის შემთხვევაში განაგრძოს თავისი ვალდებულებების შესრულება და ასევე, უნდა გაითვალისწინოს ასეთი ფაქტის დადგომის შემდეგ გამოყენებული აქტივების შევსება. ამ წესებსა და პროცედურებში სულ მცირე გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) ღონისძიებები, რომელთა გატარებაც შეუძლია სისტემის ოპერატორს მონაწილის დეფოლტის შემთხვევაში; გ) სისტემის ოპერატორის მიერ ანგარიშსწორების ნორმალური პროცესის შესაძლო ცვლილებები დროული საბოლოო ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად;	

მოკლე აღწერა: სისტემის ოპერატორს სისტემაზე წვდომის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს მონაწილის დეფოლტის წესები და სისტემის მონაწილის სისტემასთან შესაბამისობის მონიტიორინგის პროცედურა და ასევე ღონისძიებები, რომელთა გატარებაც შეუძლია სისტემის ოპერატორს მონაწილის დეფოლტის შემთხვევაში.
ძირითადი მოსაზრება N4 - სისტემის ოპერატორი მზად უნდა იყოს მონაწილის დეფოლტის წესების და პროცედურების იმპლემენტაციისთვის, მათ შორის, დეფოლტის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, თუ ეს განსაზღვრულია სისტემის წესებით. სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ: ა) გააჩნდეს შესაბამისი ოპერაციული შესაძლებლობები, მათ შორის, შესაბამისად მომზადებული პერსონალი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად განსახორციელებლად; ბ) სისტემის წესები და პროცედურები ითვალისწინებდეს დოკუმენტირების, ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის საჭიროებებს, ხოლო თუ ერთზე მეტი ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა ან საზედამხედველო ორგანოა ჩართული – მათი კოორდინაციის საკითხს.
მოკლე აღწერა : სისტემი ოპერატორს სისტემის წესებით განსაზღვრული აქვს დეფოლტის საფუძვლები და ასევე დანერგილი აქვს სისტემის მონაწილის სისტემასთან შესაბამისობის მონიტიორინგის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ოპერაციული შესაძლებლობებსა და პერსონალს, დეფოლტის საფუძვლის დადგენის შემთხვევაში, ოპერატიულად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

პრინციპი 11	**ზოგადი ბიზნეს რისკი**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა შექმნას ძლიერი მმართველობითი და კონტროლის სისტემები ზოგადი ბიზნესის რისკის იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და მართვისათვის. მათ შორის ისეთი ბიზნეს რისკის დასაზღვევად, რომელიც გამომდინარეობს ბიზნეს სტრატეგიის ცუდი შესრულებით, უარყოფით ქეშფლოუ, მათ შორის მოულოდნელი და ზედმეტი საოპერაციო ხარჯებით.	
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორს გააჩნია კონტროლის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საოპერაციო ხარჯების მუდმივი კონტროლი, რაც უარყოფითი ქეშფლოუს წარმოქმნისა და ზედმეტი საოპერაციო ხარჯების გაწევისგან თავის არიდებას უზრუნველყოფს;	
ძირითადი მოსაზრება N2 - სიტემის ოპერატორმა, ბიზნესის რისკის ზოგადი პროფილის, კრიტიკული ოპერაციების და მომსახურებების აღდგენის ან/და საქმიანობის მოწესრიგებული შეწყვეტისათვის საჭირო დროის მიხედვით, უნდა დაადგინოს საჭირო აქტივების ოდენობა.	
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორი ბიზნესის რისკის ზოგადი პროფილის, კრიტიკული ოპერაციების და მომსახურებების აღდგენის და საქმიანობის მოწესრიგებული შეწყვეტისათვის საჭირო დროის მიხედვით, უზრუნველყოფს საჭირო აქტივების ოდენობის დაადგენას;	
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორი უნდა ფლობდეს ლიკვიდურ წმინდა აქტივებს, რომლებიც დაფინანსებულია კაპიტალით (მათ შორის, ჩვეულებრივი აქციები, გამჟღავნებული რეზერვები ან სხვა გაუნაწილებელი მოგება), რაც საშუალებას მისცემს მას შეუფერხებლად გააგრძელოს ოპერაციები და მომსახურება. ეს აქტივები უნდა იყოს იმ რესურსებზე დამატების სახით, რომლებიც განკუთვნილია მონაწილის დეფოლტის გადასაფარად, ასევე ამ წესის მე-6 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სხვა რისკების დასაფარავად.	
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორი ფლობს ლიკვიდურ წმინდა აქტივებს, რომლის საშუალებით ის შეუფერხებლად უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას და შესაბამის ოპერაციებს. აღნიშნული აქტივები	

არის იმ რესურსებზე დამატებითი მოცულობის თანხა, რომლებიც განკუთვნილია მონაწილის დეფოლტის დასაფარავად. აღნიშნული ოდენობა წარმოადენს გასული 7 (შვიდი) თვის საოპერაციო ხარჯზე დამატებულ რესურსს;
ძირითადი მოსაზრება N4 - აქტივები, რომლებიც ზოგადი ბიზნესრისკის დასაფარად გამოიყენება უნდა იყოს საკმარისად ლიკვიდური და მაღალი ხარისხის, რომ დროულად იქნეს ხელმისაწვდომი. აქტივები უნდა განცალკევდეს სისტემის ოპერატორის აქტივებისგან, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიური საქმიანობისთვის. სისტემის ოპერატორს უნდა შეეძლოს ამ აქტივების მინიმალური ან ნულოვანი ნეგატიური ფასის ეფექტით გაყიდვა, ისე რომ სისტემის ოპერირება გაგრძელდეს მაშინაც, თუ სისტემის ოპერატორი განიცდის ზარალს.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორი ბიზნეს რისკის დასაფარად განკუთვნილ ლიკვიდურ აქტივებს ყოველდღიური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივებისგან განცალკევებულად აღრიცხავს
ძირითადი მოსაზრება N5 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს გეგმა დამატებითი კაპიტალის მოსაძიებლად, თუ კაპიტალის სიდიდე მიუახლოვდა ან ჩამოსცდა განსაზღვრულ ოდენობას.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებულია დამატებითი კაპიტალის მოძიების გეგმა, რომელიც გულისხმობს სესხის აღებას.

პრინციპი 13	**საოპერაციო რისკი**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა, საოპერაციო რისკის იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და მართვის მიზნით, უნდა შექმნას ძლიერი ჩარჩო შესაბამისი სისტემებით, პოლიტიკით, პროცედურებით და კონტროლის მექანიზმით.	
მოკლე აღწერა: სს ჯორჯიან ქარდში შემუშავებულია რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც სრულყოფილად აღწერს ორგანიზაციაში რისკების მართვის პრინციპებს. მათ შორის საოპერაციო რისკების მართვას. ასევე დამატებით შექმნილია დოკუმენტები, რომლებიც დეტალურად აღწერენ საოპერაციო რისკების მართვის ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რისკების შეფასების მეთოდოლოგია, წვდომებისა და უფლებების მართვის პოლიტიკა.	
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორი ვალდებულია პერიოდულად, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ, გადახედოს, გატესტოს და აუდიტი ჩაუტაროს სისტემებს, საოპერაციო პოლიტიკას, პროცედურებსა და კონტროლის მექანიზმებს. სისტემის ოპერატორმა, ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით, თავად უნდა შეაფასოს, ცვლილებები წარმოადგენს თუ არა მნიშვნელოვან ცვლილებებს.	
მოკლე აღწერა: სს ჯორჯიან ქარდში შემუშავებულია რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც სრულყოფილად აღწერს ორგანიზაციაში რისკების მართვის პრინციპებს. ორგანიზაციაში დანერგილია ცვლილებების მართვის ფორმალიზებული პროცესი და შესაბამისი ცვლილებების მართვის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები და ხდება სისტემის გამართულობის მონიტორინგი. სს ჯორჯიან ქარდში ყოველწლიურად ტარდება PCI DSS ფარგლებში სავალდებულო აუდიტი, რომლის შედეგადაც კომპანია იღებს შესაბამის სერთიფიკატს, საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას და რომლითაც დგინდება კომპანიის შესაბამისობა PCI DSS წესებთან და მოთხოვნებთან მიმართებით. აღნიშნული სერტიფიკატი მოქმედია 2026 წლის 28 მარტამდე, ამასთან სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს აღნიშნული სერტიფიკატის ვადის გაგრძელებას.	

ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა უნდა დაადგინოს მომსახურების დონისა და ოპერაციული საიმედოობის მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად შეიმუშავოს პოლიტიკა. ოპერატორმა ყოველწლიურად უნდა გადახედოს მიზნებსა და პოლიტიკას.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება მომსახურების დონისა და ოპერაციული საიმედოობის მიზნების შემუშავება და გადახედვა; სისტემის ოპერატორს აქვს შემუშავებული მიზნების ფორმირების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მიზნების მიღწევის გზებს და საშუალებებს, კერძოდ სტრატეგიული მიზნების შემუშავებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფინანსური სტაბილურობის, სისტემის მდგრადობის, მომსახურების ხარისხის და ოპერაციული უსაფრთხოების საკითხებს, როგორიცაა:ა) მომსახურების მინიმალური დონის განსაზღვრა (მაგ.: სისტემის ხელმისაწვდომობა არანაკლებ 99,9%); ბ) რისკების მართვის სისტემასთან დაკავშირებული მოლოდინების ფორმირება (მაგ.: კრიტიკული რისკების რეაგირების დრო ≤ 24 საათი); გ) ბიზნეს პრიორიტეტების გათვალისწინება (მაგ.: მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება, დროის ოპტიმიზაცია, ტექნოლოგიური ინოვაცია). იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად სრულფასოვნად და ეფექტურად სრულდება მიზნების ფორმირების პოლიტიკით დადგენილი პროცესები, აუცილებელია შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) განსაზღვრა. KPI არის გაზომვადი მნიშვნელობა, რომელიც აჩვენებს, რამდენად ეფექტურად აწესრიგებს დოკუმენტით დადგენილი წესები ორგანიზაციის კრიტიკულ ბიზნეს მიზნებს (KBO – Key Business Objective). KPI-ების შედეგები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ბიზნეს პროცესებში არსებული სისუსტეები და დაიგეგმოს მათი გამოსასწორებელი სამუშაოები.
ძირითადი მოსაზრება N4 - სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სისტემას ნებისმიერ მომენტში გააჩნდეს სკალირებადი სიმძლავრის მარაგი სტრესულ სიტუაციაში გაზრდილი გადახდების მოცულობის შეუფერხებლად განსახორციელებლად. სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიზნების მიღწევა.
მოკლე აღწერა სისტემა რეგულარულად უზრუნველყოფს სკალირებადი სიმძლავრის მარაგის შემუშავებას ნებისმიერ სიტუაციაში (სტრესულ სიტუაციაში) გაზრდილი გადახდების მოცულობის ფაქტის დადგომისას, რაც იძლევა შეუფერხებელი პროცესის გარანტიას;
ძირითადი მოსაზრება N5 - სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც ადეკვატურად განსაზღვრავს, აფასებს და მართავს ყველა პოტენციურ სისუსტესა და საფრთხეს. ოპერატორმა ყოველწლიურად უნდა განახორციელოს პოლიტიკის გადახედვა.
მოკლე აღწერა: სს ჯორჯიან ქარდში შემუშავებულია ინფორმაციული უსაფრთხოების და ფიზიკური უსაფრთხოების პოლიტიკები. აღნიშნული დოკუმენტების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება ხორციელდება წელიწადში ერთხელ ან მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული დოკუმენტის რეგულარულობის საკითხები, კერძოდ განსაზღვრულია რის საფუძველზე ხდება შესაბამისი დოკუმენტის გადახედვა/განახლება.
ძირითადი მოსაზრება N6 - სისტემის ოპერატორმა უნდა ჩამოაყალიბოს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა იმ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც წარმოადგენენ სისტემის მუშაობის შეფერხების მნიშვნელოვან რისკს. გეგმა უნდა მოიცავდეს სარეზერვო საიტის გამოყენების შესაძლებლობას და შემუშავებული უნდა იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კრიტიკული ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემები მუშაობას განაახლებენ სისტემის შეფერხებიდან არაუგვიანეს ორი საათის განმავლობაში. გეგმა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ სისტემას ყოველთვის შეეძლოს ყველა გადახდის მიხედვით ანგარიშსწორება იმ სამუშაო

დღის ბოლომდე, როდესაც ადგილი ჰქონდა სისტემის შეფერხებას. სისტემის ოპერატორმა უნდა განახორციელოს გეგმის ტესტირება და გადახედვა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
მოკლე აღწერა: .სს ჯორჯიან ქარდში დანერგილია ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც წარმოებს ბიზნესის უწყეტობის სცენარებისა და მათი რეალიზების შემთხვევაში განსახორციელები სამოქმედო გეგმების (BCP) შემუშავება. მათ შორის, შემუშავებულია და წელიწადში ერთხელ იტესტება კრიტიკული ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების სარეზერვო საიტის მეშვეობით აღდგენის სცენარი (სარეზერვო მონაცემთა ცენტრზე გადართვა). აღნიშნული გეგმით უზრუნველყოფილია შეფერხებული სისტემების აღდენა არაუგვიანეს 2 (ორი) საათისა.
ძირითადი მოსაზრება N7 - სისტემის ოპერატორმა უნდა განახორციელოს იმ რისკების იდენტიფიკაცია, მონიტორინგი და მართვა, რომლებიც წარმოიშობა სისტემის ოპერაციებისათვის კრიტიკული მონაწილეების, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების, აგრეთვე კომუნალური და სხვა მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან.
მოკლე აღწერა: სს ჯორჯიან ქარდში დანერგილია რისკების შეფასების პროცესი (Risk Registry), რომელიც წარმოებს წელიწადში ერთხელ ან/და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად. პროცესის ფარგლებში ხორციელდება კრიტიკული მონაწილეების რისკების შეფასებაც.

პრინციპი 14	**წვდომისა და მონაწილეობის პირობები**
ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს სისტემის მომსახურებაზე წვდომის და მონაწილეობის არადისკრიმინაციული, ობიექტური და პროპორციული პირობები როგორც პირდაპირი, ასევე საჭიროების შემთხვევაში, არაპირდაპირი მონაწილეებისათვის და ფინანსური ბაზრის სხვა ინფრასტუქტურებისთვის. აღნიშნული პირობები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. სისტემის ოპერატორი ვალდებულია განახორციელოს ამ სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის პირობების გადახედვა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.	
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორს დამტკიცებული აქვს სისტემის მომსახურებაზე წვდომისა და მონაწილეობის პირობები, რომელიც ემსახურება მონაწილეთა არადისკრიმინაციულ, ობიექტურ და პროპორციულ მიდგომებს/ სისტემი მომსახურებაზე წვდომისა და მონაწილეობის პირობების დოკუმენტი „სს ჯორჯიან ქარდის სისტემაზე წვდომის წესები“ ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის შემდეგ ვებ გვერდზე: www.gc.ge, რომელის გადახედვას სისტემის ოპერატორი ახორციელებს (განახორციელებს) წელიწადში ერთხელ ან მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად;	
ძირითადი მოსაზრება N2 - წვდომისა და მონაწილეობის პირობები გამყარებული უნდა იყოს სისტემისა და ბაზრის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის თვალსაზრისით, ასევე უნდა იყოს სისტემის სპეციფიკურ რისკებზე მორგებული და მათი თანაზომიერი. პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, სისტემის ოპერატორმა ეს პირობები იმგვარად უნდა შეიმუშაოს, რომ მინიმალურად შეზღუდოს წვდომა სისტემაზე. თუ სისტემის ოპერატორი რომელიმე კანდიდატს უარს ეტყვის სისტემაში მონაწილეობაზე, მან ეს გადაწყვეტილება წერილობით უნდა წარუდგინოს შესაბამის კანდიდატს მოსალოდნელი რისკების სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე.	
მოკლე აღწერა „სს ჯორჯიან ქარდის სისტემაზე წვდომის წესები“ დარეგულირებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად დაცულია ბაზრის უსაფრთხოება და ეფექტურობა, კერძოდ მასში აღწერილია სისტემით სარგებლობისა და სარგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომელიც დაცული უნდა იქნეს იმ	

სუბიექტის მიერ, რომელიც არის/გახდება სს ჯორჯიან ქარდის საგადახდო სისტემის მონაწილე. სისტემაში წვდომის წესები ასევე მოიცავს პირობებს, რომლებიც კანდიდატისთვის სისტემაში მონაწილეობაზე უარის თქმის და/ან სისტემაზე დაშვების შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა გახდეს. სისტემა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოსალოდნელი რისკების სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე, წერილობით წარუდგეს შესაბამის კანდიდატს.
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა მუდმივად უნდა აკონტროლოს მონაწილეთა შესაბამისობა წვდომისა და მონაწილეობის პირობებთან. სისტემის ოპერატორმა უნდა დანერგოს არადისკრიმინაციული პროცედურა, რომლის საფუძველზეც მონაწილეს შეუჩერდება ან გაუუქმდება მონაწილეობის უფლება, თუ ის ვერ აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ეს პროცედურა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ოპერატორი ვალდებულია განახორციელოს პროცედურის გადახედვა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორის მიერ მუდმივად ხორციელდება და კონტროლდება მონაწილეთა შესაბამისობა სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის პირობებთან. ყველა ის პირობა, რომელიც ემსახურება მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციულ მიდგომას, მოცემული და აღწერილია „სს ჯორჯიან ქარდის სისტემაზე წვდომის წესები“-ის დოკუმენტში, რომელიც ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის შემდეგ ვებ გვერდზე: www.gc.ge; აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ და/ან მნიშვნელოვანი ცვლილების შესაბამისად;

პრინციპი 16	**ეფექტურობა და ეფექტიანობა**
ძირითადი მოსაზრება N1 - სტემის ოპერატორს შემუშავებული უნდა ჰქონდეს პროცესები, რომლის მიხედვითაც ის შეძლებს ბაზრის მოთხოვნილებების/საჭიროებების იდენტიფიცირებასა და გათვალისწინებას. პროცესები უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს: ა) კლირინგისა და ანგარიშსწორების მოდელები; ბ) საოპერაციო სტრუქტურა; გ) პროდუქტები, რომელთა კლირინგი და ანგარიშსწორება ხორციელდება სისტემაში; დ) გამოყენებული ტექნოლოგიები და პროცედურები.	
მოკლე აღწერა ა) კლირინგი და ანგარიშსწორების მოდელები - საერთაშორისო საბარათე გადახდებთან მიმართებაში, სისტემა ახორციელებს კლირინგის ფაილების გაცვლას. ლოკალურ საბარათე გადახდებთან მიმართებაში, სისტემა აგენერირებს ფაილებს და უგზავნის სისტემის მონაწილეს - გამომდინარე იქიდან , რომ სისტემისთვის ანგარიშსწორების აგენტს წარმოადგენს სს საქართველოს ბანკი, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სისტემის ოპერაციებზე ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს ანგარიშსწორების აგენტი. ბ) საოპერაციო სტრუქტურა - საოპერაციო სტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ სწორად მოხდეს პროცესების წარმართვა, სისტემისათვის საჭირო გადაწყვეტილებების და მიზნების მიღწევა, კერძოდ პროცესი მოიცავს: ინიცირების ეტაპს, განხილვაში ჩართული პირების კომპეტენციას, გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაზღვრულ პარამეტრებს, ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. გ) პროდუქტები, რომელთა კლირინგი და ანგარიშსწორება ხორციელდება სისტემაში - ემიტირებულ ბარათებთან მიმართებაში კლირინგში მოცემული ფაილების შესაბამისად ანგარიშსწორების აგენტი ახდენს ანგარიშსწორებას, იმდენად რამდენადაც სს საქართველოს ბანკი წარმოდგენილია, როგორც სისტემის მონაწილე და ანგარიშსწორების აგენტი, აქედან გამომდინარე, სს საქართველოს ბანკი ანგარიშსწორებას სრულად აკონტროლებს, როგორც სისტემის მონაწილე და ანგარიშსწორების აგენტი ერთდროულად (სისტემასა და ანგარიშსწორების აგენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე); ლოკალურ ბარათებთან მიმართებაში სისტემა ისე მუშაობს, რომ სისტემის მონაწილეს ტრანზაქციის განხორციელებისთვის მუდმივად უნდა ჰქონდეს ანგარიშსწორების ანგარიშზე დადებითი ნაშთი, რაც	

ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი დადებითი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში, ტრანზაქცია არ შესრულდება. შესაბამისად, ანგარიშსწორება სრულდება ტრანზაქციის ინიცირებისთანავე ანგარიშსწორების ანგარიშიდან და ანგარიშსწორება არ ხდება კლირინგის ფაილების საფუძველზე. დ) გამოყენებული ტექნოლოგიები და პროცედურები - სისტემა საგადახდო პროცესს წარმართავს საერთაშორის სტანდარტებთან (PCI DSS) შესაბამისობის მოთხოვნების დაცვით. სისტემის ფუნქციონრებიდან გამომდინარე, სისტემის ყოველი კონტრაქტორი არის შესაბამისად ლიცენზირებული პირი, რომელთა ტექნოლოგიები იძლევიან მყისიერ უსაფრთხოების გარანტიას. ტექნოლოგიები და პროცედურები ისეა მოწყობილი, რომ სისტემის საშუალებით დაცული არხით ხდება საბარათე სქემას, ემიტენტს და ექვაირერს შორის ინფორმაციის მიმოცვლა, სისტემა თავად არ ახდენს საბარათე ოპერაციის ავტორიზირებას და მხოლოდ უზრუნველყოფს ამ სამ სუბიექტს შორის ინფორმაციის მიმოცვლას დაცული არხებით.
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული, გაზომვადი და მიღწევადი მიზნები და ამოცანები, როგორიცაა მომსახურების მინიმალური დონე, რისკების მართვის სისტემისადმი მოლოდინები, ბიზნესის პრიორიტეტები.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორს ამომწურავად აქვს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული გაზომვადი და მიღწევადი მიზნები, მათ შორის ამოცანები, რომელიც მოიცავს მომსახურების მინიმალურ დონეს, რისკების მართვის სისტემისადმი მოლოდინებს და ბიზნეს პრიორიტეტებს. ამასთან სისტემა ყოველწლიურად უზრუნველყოფს პრიორიტებული საკითხების იდენტიფიცირებას, კომპანიის შესაბამის მიმართულებებთან ერთად, არსებული ბაზრის მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორს უნდა გააჩნდეს პროცესი, რომლითაც რეგულარულად მოხდება მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გადამოწმება.
მოკლე აღწერა სისტემას შემუშავებული აქვს პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გადამოწმებას.

პრინციპი 17	**საკომუნიკაციო სტანდარტები და პროცედურები**
ძირითადი მოსაზრება N1 - გადახდების, კლირინგის, ანგარიშსწორების და ინფორმაციის შენახვის გაუმჯობესების მიზნით სისტემის ოპერატორი ვალდებულია გამოიყენოს ან შესაძლებელი გახადოს, შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული საკომუნიკაციო სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენება.	
მოკლე აღწერა - სისტემის ოპერატორი იყენებს და ფლობს საერთაშორისოდ აღიარებულ საკომუნიკაციო სტანდარტებს და პროცედურებს. სენსიტიური ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად (მათ შორის მონაცემთა უსაფრთხო დამუშავებისთვის), სისტემის ოპერატორი იყენებს უსაფრთხოების სტანადარტებს, კიბერუსაფრთხოების სტანდარტებს და შიფრაციის მეთოდებს, მათ შორის როგორიც არის NIST (Special Publications) ით და FIPS-ის სტანდარტები, PCI DSS, PCI 3DS, PCI PIN, ISO;	

პრინციპი 18	**საბაზრო მონაცემების, წესებისა და მნიშვნელოვანი პროცედურების გამოქვეყნება**

ძირითადი მოსაზრება N1 - სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს ნათელი და ყოვლისმომცველი წესები და პროცედურები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მონაწილისთვის. სისტემის ოპერატორმა ძირითადი წესები და მნიშვნელოვანი პროცედურები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორის ძირითადი წესები განთავსებულია, სს ჯორჯიან ქარდის შემდეგ ვებ-გვერდზე: www.gc.ge ;
ძირითადი მოსაზრება N2 - სისტემის ოპერატორმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მონაწილეებისათვის სისტემის მოწყობისა და ოპერაციების აღწერილობები, ასევე სისტემის ოპერატორისა და მონაწილეების უფლებები და ვალდებულებები, რათა მონაწილეებმა შეძლონ იმ რისკების შეფასება, რაც წარმოეშობათ მათ სისტემაში მონაწილეობით.
მოკლე აღწერა სისტემის მოწყობისა და ოპერაციების აღწერილობა, ასევე სისტემის ოპერატორისა და მონაწილეების უფლებები და ვალდებულებები აღწერილია სს ჯორჯიან ქარდის სისტემაზე წვდომის წესების დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია სს ჯორჯიან ქარდის შემდეგ ვებ-გვერდზე: www.gc.ge;
ძირითადი მოსაზრება N3 - სისტემის ოპერატორმა მონაწილეებს უნდა მიაწოდოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩაუტაროს ტრენინგები, რათა მონაწილეებმა გააცნობიერონ სისტემის წესები და პროცედურები და ის რისკები, რომლებიც წარმოეშობათ მათ სისტემაში მონაწილეობით.
მოკლე აღწერა სისტემის წესები ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის ვებ-გვერდზე, რომელიც საშუალებას აძლევს სისტემის მონაწილეებს (პოტენციურ მონაწილეებს) გაეცნონ წესებსა და პროცედურებს, ასევე რისკებს, რომელებიც წარმოეშობათ სისტემაში მონაწილეობით; საჭიროების შესაბამისად, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ტრენინგებისა და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას სისტემის მონაწილეებისთვის;
ძირითადი მოსაზრება N4 - სისტემის ოპერატორმა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს სისტემის საკომისიოები/ტარიფები თითოეული მომსახურებისთვის, რომელსაც ის მონაწილეებს სთავაზობს, აგრეთვე მისი ფასდაკლების პოლიტიკა. სხვა სისტემის საკომისიოებთან/ტარიფებთან შედარების მიზნით, სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ფასიანი მომსახურების მკაფიო აღწერილობის მომზადება.
მოკლე აღწერა სისტემაში ჩართვის და მომსახურეობების საკომისიოები/ტარიფები მოცემულია სისტემის ოპერატორის წესები-ის დოკუმენტში, რომელიც ხელმისაწვდომია სისტემის შემდეგ ვებ-გვერდზე: www.gc.ge ;
ძირითადი მოსაზრება N5 - სისტემის ოპერატორმა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისათვის CPSS-IOSCO საჯაროობის დებულებების ფორმულარზე პასუხები. სისტემის ოპერატორმა უნდა განაახლოს თავისი პასუხები სისტემაში ან მის გარემოში არსებითი ცვლილებების შემდეგ, მაგრამ არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ.
მოკლე აღწერა სისტემის ოპერატორის მიერ საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებულია ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისათვის CPSS-IOSCO საჯაროობის დებულებების ფორმულარზე პასუხები, რომლის გადახედვას, განახლებას და ცვლილებების განხორციელებას უზრუნველყოფს პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ;